ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი №7

თარიღი: 15.01.2018წ.
საათი: 17:00 ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. სანდრო ლაცაბიძე;
2. თამარ ტალიაშვილი;
3. ოთარ გრიგოლია;
4. გიორგი მუსხელიშვილი;
5. ქეთევან შამულაშვილი;
6. ვლადიმერ ძნელაძე;
7. დავით ჟღენტი.
8. ლილე ლიპარტელიანი.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ხირკვაძე;

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(#12-0318012172-03 12. 01.2018)**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ **(#12-0318012172-03 12. 01.2018)**

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი დოხტურიშვილი.

გიორგი დოხტურიშვილი - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღისწესრიგით წარმოდგენილი საკითხები.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი დოხტურიშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის მომხსენებლები და სიტყვა გადასცა.
სერგო ბერკაიმი აღნიშნა, რომ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება გაწპირობებულია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა ერთიანი სტანდარტის შემუშავების მიზნით, ზოგადი დებულებანი, სტრუქტურული ერთეულის უფროსების, სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილეების და სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსების ფუნქციები განისაზღვრება ერთგვაროვნად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა ერთიანი სტანდარტის შემუშავების მიზნით, ზოგადი დებულებანი, სტრუქტურული ერთეულის უფროსების, სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილეების და სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსების ფუნქციები განისაზღვრება ერთგვაროვნად.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ეყოლება 2 (ორი) მოადგილე, ისევე, როგორც დღეს.
სამსახურში იქნება 4 (ოთხი) განყოფილება, ისევე, როგორც დღეს.
ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:
პროექტის მიღებამ შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული ცვლილებები საფინანსო-ეკონომიკური კუთხით, თუმცა აღნიშნული დამოკიდებული იქნება წესასამისი საშტატო ნუსხის წარდგენასთან.
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2018 წლის 15 იანვარს კომისიის სხდომაზე განიხილა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები და ხმათა უმრავლესობით დაადგინა:

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>დაადგინა</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**#12-0318012172-03 12. 01.2018)** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ (**#12-0318012172-03 12. 01.2018)** ჯანმრთელობის დაცვისა და **სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი** რეკომენდაციით გაწხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი დოხტურიშვილი